1. **პროგრამის სახელწოდება:** არმენოლოგია

2. **პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ზაზა ალექსიძე

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** არმენოლოგიის მაგისტრი. MA in Armenology.

4. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
   - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი;
   - პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში;
   - სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: მიმდინარე სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მომზადდეს არმენოლოგიის მაგისტრი. ერთიან ეთნოგეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში დიდი ისტორიის მანძილზე თანაცხოვრება, საქართველოში კომპაქტურად დასახლებული სომხური რეგიონები ბუნებრივად ბადებს პრობლემატიკას, რომელიც შესწავლის საგანია როგორც ქართული, ისე სომხური სამეცნიერო წრეებისათვის. ისიც ბუნებრივია, რომ ამ პრობლემატიკას უშუალო კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების დღევანდელ ინტერესებთან. ასეთ პირობებში გარდაუვალია თვალსაზრისებს შორის განსხვავება, რაც პოლემიკასაც გარდაუვალს ხდის. ასე იყო ძველად, ასე არის დღეს და ასე იქნება ხვალაც. მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოების პირობებში პოლემიკა აშკარად გასცდა მეცნიერების ფარგლებს და საფრთხე შეუქმნა ორი მეზობელი ქვეყნის მშვიდობიან თანაცხოვრებას. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საქართველოში ქართული მეცნიერული არმენისტიკის კიდევ უფრო გაძლიერებამ.

არმენისტიკაში ქართველი სპეციალისტების მომზადებას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის დიპლომატიური სამსახურების შექმნის აუცილებლობამ. სომხეთში ყველა დოკუმენტი სომხურ ენაზე იქმნება, ყველა შეკრება სომხურ ენაზე იმართება. დიპლომატიური სამსახურების სრულფასოვანი და ეფექტური მუშაობა პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა საქართველოს საელჩოს სომხური ენისა და სომხური სამყაროს, ქართულ-სომხური ურთიერთობების კარგად მცოდნე დიპლომატებით დაკომპლექტებასთან.

ბოლო ხანებში უნივერსიტეტში შეგნებულად დაიწყეს შემოსვლა საქართველოში დაბადებულმა და გაზრდილმა, სომხურ სკოლა დამთავრებულმა ეროვნებით სომეხმა სტუდენტებმა. შესაბამისად არმენოლოგიურმა განყოფილებამ შეიძინა კიდევ ერთი ახალი, მანამდე უცნობი ფუნქცია: სომეხი ახალგაზრდები აღზარდოს საქართველოს სახელმწიფოს სრულყოფილ მოქალაქეებად და აზიაროს ისინი ქართული არმენოლოგიის ეროვნულ სკოლას, აზიაროს ქართულ კულტურას. ამით მომავალში შეიქმნება ქართული და სომხური სამეცნიერო აზრის დაახლოებისა და ველური პოლემიკის დაძლევის უკეთესი შესაძლებლობები. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება, სულ მცირე, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სომხური ენის სწავლებაში ისეთი კადრების ჩართვა, რომელთათვისაც სომხური არის დედა ენა.

არის კიდევ ერთი საგანმანათლებლო ამოცანა, რომელიც ქართველ არმენოლოგთა კადრების მომზადებას აუცლებელს ხდის. ეს არის საქართველოს სომხური სკოლები, რომლებშიც უნდა შევიდნენ ქართველი პედაგოგები, სულ მცირე

საქართველოს ისტორიის, ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლებად მაინც, რათა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის სომხური სკოლა არ დარჩეს "ტერა ინკოგნიტად".

ამრიგად, არმენოლოგიის, როგორც სამეცნიერო და აკადემიური დისციპლინის შენარჩუნება საქართველოში აუცილებელია. შესაბამისი კადრების აღზრდის კერად უნდა დარჩეს და კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს დიდი ტრადიციების მქონე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი უჯრედი.

შედეგები: სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებული შესძლებს ყველა გარემოში თავისი ცოდნისა და პრობლემის გადაჭრის უნარის გამოყენებას; იგი მზად იქნება არმენოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის.

დასაქმების სფეროები: არმენოლოგიის მაგისტრი მომზადებულია სამუშაოდ:

- უმაღლეს საწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დამხმარე სამსახურში;
- სამეცნიერო დაწესებულებებში;
- გამომცემლობებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში;
- ბიბლიოთეკებში;
- არქივებსა და მუზეუმებში;
- სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში .

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ამავე სპეციალობით ან მომიჯნავე სპეციალობებზე.